პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 242 (10939)

შაბათი, 12 ოქტომბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა ადამიანები აღორციელებენ კაცობრიობის გაბედულ ოცნებას. — მეცნიერების დიდი ზეიმი. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ. **გ. ძოწენიძე.** — ისტორიული გამარჯვება. **ბ. ბალავაძე.** — კოსმოსის დაპყრობის პირველი ნაბიჯი (1-ლი გვერდი).

ვ. პიკის, ო. გროტეოლის, ვ. ულბრიხტის დეპეშა ამხანაგებს კ. ვოროშილოვს, ნ. ბულგანინს, ნ. ხრუშჩოვს (1-ლი გვერდი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. — **გ. ინწკირველი.** — სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილება. **ო. ლოლაშვილი.** — სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის გზით. **მ. ცოტაძე.** — ახლის ძიებაში. ქვეყანას — მეტი სამშენებლო მასალები. ყაზბეგის რაიონმა მატყლის დამზადების გეგმა შეასრულა (მე-2 გვერდი).

დიდი ოქტომბრის გრწყინვალე მონაპოვარი. — **იზრდება და მტკიცდება დაღისტნელ და ქართველ ხალხთა მეგობრობა. — მ. გაზიელიევი.** — სოციალისტური შეჯიბრების დროშით. **ი. რამაზანოვი.** — ვამაყობთ სახელოვანი მეცხოველეებით. **ი. აზიზოვი.** — ახალი წარმატებებისათვის. **ა. ახმეტოვი.** — [illegible] ნიმს კოლეგას. გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სოციალისტური ვალდებულებანი 1958 წლისათვის (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი იუგოსლავიაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ადამიანები აღორციელებენ კაცობრიობის გაბედულ ოცნებას

★ ★ ★

მეცნიერების დიდი ზეიმი

1957 წლის 4 ოქტომბერი სამუდამოდ შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ახალი ეტაპი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, როგორც ტრიუმფი ადამიანის შემოქმედებითი აზრისა.

ამ დღეს სსრ კავშირში წარმატებით იქნა გაშვებული დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც შექმნილია საბჭოთა მეცნიერების, ინჟინერებისა და მუშების დაძაბული შრომის შედეგად.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წვლილია მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. მთელი მსოფლიო დაუცხრომელი ინტერესით ადევნებს თვალყურს დედამიწის პირველი თანამგზავრის ფრენას. მის გაშვებასა და მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიან იმ დიდი გამარჯვების გამო, რომელიც საბჭოთა მეცნიერებამ მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად.

დღეს დედამიწის მთელი მოსახლეობა ხედავს ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, მაღალგანვითარებული მრეწველობის დიად გამარჯვებებს, ჩვენს ტექნიკურ სიმძლავრეს. ყველაფერი ეს მოპოვებულია საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურ მშენებლობაში ლენინური გენერალური ხაზის თანმიმდევრული გატარების საფუძველზე.

მთელი პროგრესული კაცობრიობა ამაყობს და აღტაცებულია საბჭოთა კავშირის უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევით. ის, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ თეორიული ვარაუდის საგანი იყო, ახლა სინამდვილე გახდა. საბჭოთა მეცნიერებამ გახსნა კარი სამყაროში, რითაც გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ საპლანეტთაშორისო სივრცის ათვისების საქმეში. ახალი სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა განთავისუფლებული და შეგნებული შრომა რეალობად აქცევს კაცობრიობის უაღრესად გაბედულ ოცნებას.

ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოპოვებულ იქნა ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების დიდი დაძაბული მუშაობის შედეგად. საბჭოთა მეცნიერებმა მრავალი მაგალითით დაამტკიცეს, რომ მათ უნარი შესწევთ ამოკლეს ვადებში წარმატებით გადაწყვიტონ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანები.

საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვება იყო მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის აშენება ჩვენს ქვეყანაში 1954 წელს. ამ ცოტა ხნის წინათ გაშვებულ იქნა საკონტინენტთაშორისო მრავალსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტი, ხოლო ამჟამად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, რაც გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის ერთ-ერთი იდეის პრაქტიკული განხორციელებაა, ადამიანის აზრის დიდი ზეიმია.

ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა საბჭოთა მეცნიერებს ყველაზე მძლავრ კაპიტალისტურ სახელმწიფოზე — ამერიკის შეერთებულ შტატებზე ბევრად ადრე გაეშვათ დედამიწის პირველი თანამგზავრი და ამით უდიდესი გამარჯვება მოეპოვებინათ კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში, გაეოცებინათ კაცობრიობა საბჭოთა მეცნიერების მიღწევით.

ამ დიადმა გამარჯვებამ ერთხელ კიდევ უაღრესად თვალსაჩინოდ დაამტკიცა სოციალისტური წყობილების შეუდარებელი უპირატესობა კაპიტალისტურთან. დამტკიცებულია, რომ საბჭოთა კავშირი მეცნიერულ-ტექნიკურად ყველაზე მოწინავე სახელმწიფოა მსოფლიოში. მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს თანამგზავრის გაშვება მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის უდიდეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევად, უდიდეს მოვლენად მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირის მიერ თანამგზავრის გაშვების ამბავმა შესძრა მთელი მსოფლიო, ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა მეცნიერების უდიდესი გამარჯვება.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს: „ამიერიდან ცაზე არის ორი მთვარე, ერთი ჩვეულებრივი, რომელსაც აქამდე მივეჩვიეთ, ხოლო მეორე ახალი, რომელიც მოსკოვში შექმნეს. ამ ახალ მოსკოვურ მთვარეს რომ მივეჩვიოთ, ჩვენ არც ისე ცოტა დრო დაგვჭირდება... დედამიწის საბჭოთა თანამგზავრის არსებობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დაკარგეთ ადრინდელი უპირატესობა“.

ამერიკელი მეცნიერები აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირმა დასაბამი მისცა ახალ ერას მეცნიერებაში, ხოლო ინგლისელი მეცნიერები აცხადებენ, არავითარი ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ საბჭოთა ტექნიკის უპირატესობაშიო.

სოციალისტური ქვეყნები უდიდესი პიხარულით შეხვდნენ საბჭოთა მეცნიერების გრანდიოზულ გამარჯვებას. ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მო-ჟო გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილ წერილში აღნიშნავს: „ეს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შესანიშნავი საჩუქარია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის“.

საპლანეტთაშორისო სივრცეში ჩვენი პლანეტის გარშემო შეუჩერებლად მოძრაობს საბჭოთა ადამიანის ხელით შექმნილი დედამიწის თანამგზავრი. საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში განახორციელოს დედამიწის კიდევ რამდენიმე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, რომელთაც ექნებათ გადიდებული გაბარიტი და წონა.

ჩვენი მეცნიერები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გაამართლონ ის მაღალი შეფასება, რაც მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ტრიბუნიდან.

საბჭოთა კავშირი ბრწყინვალე გამარჯვებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, მთელი მსოფლიოს წინაშე ახდენს სოციალისტური ეკონომიკის სიმძლავრის დემონსტრაციას, თავისი მეცნიერების და ტექნიკის უსაზღვრო შესაძლებლობის დემონსტრაციას.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

★ ★ ★

მთელი მსოფლიოს ხალხები შეუნელებელი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებენ თვალყურს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის ფრენას. ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაში გაყვანის მომენტიდან განვლილ დროში დაგროვდა რადიოტექნიკურ და ოპტიკურ განზომილებათა დიდი მასალა. ამ განზომილებათა მონაცემების მიმდინარე დამუშავება გვიჩვენებს, რომ კარგად ემთხვევა ერთმანეთს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის ნამდვილი და ნავარაუდევი პარამეტრები. მაგალითად, ნავარაუდევი იყო, რომ თანამგზავრი იმოძრავებდა დედამიწის ზედაპირიდან 900 კილომეტრამდე სიმაღლეზე, დედამიწის გარშემო ერთხელ შემოვლას მოანდომებდა 1 საათსა და 35 წუთს და ეკვატორის სიბრტყის მიმართ ორბიტის დახრილობის კუთხე იქნებოდა 65°. ამ პარამეტრების უშუალო განზომილებათა შედეგები პრაქტიკულად ემთხვევა ნავარაუდევს. ეს აღნიშნავს იმ თეორიულ კვლევათა და კონსტრუქტორული მუშაობის მაღალ სიზუსტეს, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა განახორციელეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნისა და გასაშვებად მომზადების პერიოდში.

11 და 12 ოქტომბერს თანამგზავრის მოძრაობის დაკვირვებისათვის გადმოგცემთ მსოფლიოს იმ ძირითადი პუნქტების სიას, რომლებსაც თანამგზავრი გადაუვლის (მოსკოვის დროით).

11 ოქტომბერი

ვანკუვერი — 09 საათი და 50 წუთი, კორალ-ჰარბორი — 09 საათი და 57 წუთი, ფრედერიკსჰობი (გრენლანდია) — 10 საათი და 00 წუთი, ლისაბონი — 10 საათი და 09 წუთი, კასაბლანკა (აფრიკა) — 10 საათი და 11 წუთი, პორტ-ელიზაბეტი (აფრიკა) — 10 საათი და 32 წუთი, პორტ-ვილა — 11 საათი და 07 წუთი, კარ-კროსი — 11 საათი და 29 წუთი, კორალ-ჰარბორი — 11 საათი და 35 წუთი, მწვანე კონცხის კუნძულები — 11 საათი და 52 წუთი, ადილეიდი — 12 საათი და 39 წუთი, ტაუნსვილი (ავსტრალია) — 12 საათი და 43 წუთი, დილინჰემი — 13 საათი და 05 წუთი, დაუსონი — 13 საათი და 08 წუთი, ჰალიფაქსი (კანადა) — 13 საათი და 19 წუთი, ქო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★ ★ ★ ★ ★

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

თითქმის სირბილით გადალახა გიორგი მირესაშვილმა თბილისის შამპანურის ქარხნის ეზო. ჩქარობდა, თუმცა ადრე იყო და ჯერ არავინ მოსულიყო. მოუთმენლად შეაღო ბიოქიმიური საამქროს კარი, პირველად თავისი მუშაობის პერიოდში გულგრილად აუარა გვერდი საჩამომსხმელო მანქანებს და პირდაპირ იმ ოთახს მიაშურა, სადაც უზარმაზარი აგრეტაფორები იდგა. ერთ-ერთ მათგანთან შეჩერდა, რამდენჯერმე შემოუარა გარს, ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. ჩანდა, თავში რაღაც ახალი აზრი უტრიალებდა, რაღაცას განსაკუთრებულად ფიქრობდა.

ქარხანაში მოსვლის პირველი დღე მოგონდა. სწორედ ამ განყოფილებაში გააფორმეს იგი სამუშაოდ. უზარმაზარი აგრეტაფორების დანახვაზე დაფრთხა მცხეთელი ბიჭი, ვერც კი წარმოედგინა რა უნდა გაეკეთებინა ამ მანქანებთან. ახალმოსულს შეცბუნება რომ შეატყო, მექანიკოსმა, შემდეგში მისმა მასწავლებელმა ს. მილოგრადოვმა ალერსით მოუთათუნა მხარზე ხელი და უთხრა: ნუ გეშინია, გიორგი, შენ ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ, მალე მიეჩვევი აქაურობას.

მას შემდეგ 15 წელი გავიდა. როგორ არ ჩვავდნენ ერთმანეთს ის პირველი და დღევანდელი დღე. მაშინ გაკვირვებით და აღტაცებით მისჩერებოდა ამ მანქანებს, დღეს კი უკვე ბევრი რამ აღარ მოსწონდა მათში. კარგა ხანია ფიქრობდა შეეცვალა აგრეტაფორის ზოგიერთი კვანძი. ამიტომ მოვიდა დღესაც ასე ადრე.

დიდხანს ათვალიერებდა გიორგი აგრეტაფორს. „აი იმ ადგილზე რომ ქანჩებით რკინის სალტეები მოეჭიროს“...

— რა ადრე მოსულხარ, ეორა! — მოესმა თავისი შეგირდის ყიულ წამალაძის ხმა.

— ა, ყიულ, მოხვედი? აბა კარგად მომისმინე. ხომ ხედავ, სარემონტოდ გადაცემულ აგრეტაფორებს იზოლაციის დასამაგრებლად რეზერვუარის ზემოდან რკინის ოთხი ქამრის დადუდება რომ სჭირდება.

— შე კაი კაცო, სულ მაგას ვაკეთებთ და ეგ აღარ ვიცი? — გაკვირვებულმა ჰკითხა წამალაძემ.

— ჰოდა, მისმინე. ასე ვაკეთებდით, მაგრამ აღარ უნდა გავაკეთოო, გაიგე? ახალი ქამრების გაკეთების დროს დადუღების ადგილებში ზიანდება რეზერვუარი, ფუჭდება ბაკელიტი. საჭირო ხდება მისი გაწმენდა და ხელახლა დაფარვა. ეს კი ზედმეტ ხარჯებს იწვევს და რემონტსაც აჭიანურებს.

— ასეა, მაგრამ... — ყიულმა გამომცდელი თვალით შეხედა მასწავლებელს, აგრძნობინა, ვითომ ამით რა გინდა თქვაო.

— ის, რომ, — მიუხვდა ოსტატი, — ახალი წინადადება მაქვს. თუ აგრეტაფორს ქანჩების ზემოდან კუთხიანი რკინის სალტეებს მოვუჭერთ და ქამრებს ზედ მივადუღებთ, რეზერვუარის მთლიანობა აღარ დაირღვევა, აღარც ბაკელიტები დაზიანდება. ამით მოიხპობა ზედმეტი ხარჯები და, რაც მთავარია, 12-15 დღით შემცირდება რემონტის დრო. რას იტყვი, როგორ მოგწონს?

— რა უნდა ვთქვა, მშვენიერი წინადადებაა, მომილოცავს.

მარტო ყიულს როდი მოსწონდა ეს წინადადება. იგი განიხილეს ქარხანაში, მოიწონეს და ახლა უკვე ნერგავენ წარმოებაში. ამ წინადადების განხორციელება მრავალ ათას მანეთს დაუზოგავს სახელმწიფოს, მნიშვნელოვნად დაჩქარებს სარემონტო სამუშაოებს.

გიორგისთან ერთად სხვებიც ხვდებიან ახალი საწარმოო საჩუქრებით ოქტომბრის დიად დღესასწაულს. მის მხარდამხარ იბრძვის ქართული შამპანურის ახობით ოსტატი. სადღესასწაულოდ ქარხანაში ამზადებენ სპეციალური მარკის საიუბილეო პროდუქციას. ათი ათასზე მეტი ლიტრი საუკეთესო ხარისხის, არაჩვეულებრივი გემოსი და არომატის, გარეგნულად ლამაზად გაფორმებული შამპანური გიგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, შორეულ კამჩატკაზეც კი. გიიშლება სადღესასწაულო სუფრა, მშრომელები ადღეგრძელებენ ოქტომბრის მონაპოვარს, დალოცავენ ხალხთა შორის ძმობა-მეგობრობას და მადლიერი სიტყვებით მოიხსენიებენ ქართული შამპანურის ოსტატებსაც, გიორგი მირესაშვილსა და მის ამხანაგებს.

მ. ᲪᲝᲢᲐᲫᲔ.

ახალი საოქტომბრო საჩუქრებით ახარებენ სამშობლოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. ისინი ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებენ მის ხარისხს, ნერგავენ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებებს.

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშებმა საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში გეგმის გადამეტებით შეკერეს ბავშვის 11.800 წყვილი ფეხსაცმელი.

ათი ათას მანეთ ეკონომიას აძლევს წლიურად კოტონის წინდების ფაბრიკას ოსტატის თანაშემწის რ. დონდოლაძის ერთ-ერთი რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ამას წინათ დაინერგა წარმოებაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: ზევით — თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა. წუნმდებლები **მ. კლიმენკოვა** (მარცხნივ) და **მ. კევლიშვილი** ამოწმებენ მზა პროდუქციას. ქვევით — კოტონის წინდების ფაბრიკის რაციონალიზატორი **რ. დონდოლაძე** მუშაობის დროს.

ფოტოები **ვ. ვახტანგაძისა** და **ი. დვალისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

„მთელი ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყანა უდიდესი აღმავლობით ემზადება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტოს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — დაეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, რაც პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით უკანასკნელ ხანებში განახორციელეს.

ოთხ თვეზე მეტია გასული, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო შეიქმნა. ახლად შექმნილი სახალხო მეურნეობის საბჭოს პირველი ნაბიჯები დამაჯერებლად ცხადყოფენ ეკონომიკის მართვის ახალი სისტემის უდიდეს უპირატესობებს მართვის ძველ ფორმებთან შედარებით. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების წინაშე დიდი ამოცანები დგას. თუ რამდენად წარმატებით იქნება ეს ამოცანები გადაწყვეტილი, ეს დიდად არის დამოკიდებული თვით სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებზე, მათს უნარსა და ორგანიზატორულ გაქანებაზე.

იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური რაიონის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების წინაშე დგას, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიულმა ორგანიზაციამ. იგი მოვალეა ღრმად ჩასწვდეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობას. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ მათ არავითარ შემთხვევაში არ გაიმეორონ ყოფილი სამინისტროების მუშაობის პრაქტიკის ცუდი მხარეები. სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატმა უნდა იმოქმედოს შეწყობილად და გამართულად, ოპერატიულად გადაწყვიტოს ეკონომიური რაიონის მეურნეობის განვითარების მომწიფებული საკითხები, ყოველდღიური, კონკრეტული დახმარება გაუწიოს საწარმოებსა და მშენებლობებს. ეს კი მოითხოვს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებმა ცოცხალი კავშირი დაამყარონ ადგილებთან, სწრაფად გამოამჟღავნონ და გამოასწორონ ნაკლოვანებანი, დროზე შეამჩნიონ და მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს.

პარტიული კომიტეტისა და პარტორგანიზაციების ბიუროების ყოველდღიური ზრუნვის საგანია ბრძოლა კომუნისტთა აქტივობისა და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ თვითეული კომუნისტი აქტიურ, უშუალო მონაწილეობას იღებდეს პარტიული ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში, გრძნობდეს პასუხისმგებლობას პარტიულ დავალებათა, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს იქითკენ, რომ სწორად მოეწყოს სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის მუშაობა, აძლიერებს ბრძოლას ბიუროკატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და დახავსებულობის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ამ მხრივ პარტიულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს. გულდასმითი და ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ პარტიული კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიც არის: „მშრომელთა განცხადებების მიღება და განხილვა საფეიქრო მრეწველობისა და „საქენერგოს“ სამმართველოებში“, „სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოში“, „საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს აპარატის მუშაკთა ბრძოლა გადაფლანგველებისა და მტაცებლების წინააღმდეგ მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში“ და სხვ.

ამ საკითხების განხილვამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეული სამმართველოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამომჟღავნებას. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ეს ნაკლოვანებანი სწრაფად იქნება გამოსწორებული.

მაგრამ ეს ყოველივე იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს მუშაობაში არ იყოს ნაკლი და ხარვეზი. სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატისა და დარგობრივი სამმართველოების საქმიანობაში არის ზოგიერთი საკითხის არაოპერატიულად გადაწყვეტის, საწარმოთა და მშენებლობათა მოთხოვნილებებზე დაგვიანებით გამოხმაურების შემთხვევები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სასურსათო საქონლის მრეწველობისა და ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის სამმართველოების მუშაკები, ამ სამმართველოთა პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეწევიან ბრძოლას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამიტომ სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიულმა კომიტეტმა და დარგობრივ სამმართველოთა პარტორგანიზაციებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ყურადღება მიაქციონ იმას, რომ აპარატის მუშაკები ხშირად იმყოფებოდნენ საწარმოებსა და მშენებლობებზე, ღრმად სწვდებოდნენ მათს საჭიროებებს, ჰქონდეთ ნათელი და სრული წარმოდგენა ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს სახალხო მეურნეობის საბჭო, ყველა მისი რგოლი სწორად უხელმძღვანელოს, ქმედითი და დროული დახმარება აღმოუჩინოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს მუშაობაში.

როგორც ცნობილია, კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. ამიტომ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატური ამაღლება პარტიული კომიტეტისა და პარტორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. პარტიულმა კომიტეტმა სათანადო მუშაობა გასწია ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელის სწორად დასაკომპლექტებლად. 1 ოქტომბერს 314 კომუნისტი, აგრეთვე მრავალი კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი ორგანიზებულად შეუდგა მეცადინეობას პარტიული განათლების ქსელში. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაძლიერებულ შესწავლასთან ერთად ბევრი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი დიდ ინტერესს იჩენს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ეკონომიკის დაუფლებისადმი. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის შექმნილია და უკვე შეუდგა მეცადინეობას კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 12 თეორიული სემინარი.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები დღითიდღე სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ შესანიშნავმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო იმით, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ კრასნოდარის და აზერბაიჯანის ეკონომიური რაიონების მშრომელებთან.

ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებს, მოითხოვს მათგან უფრო მეტი ენერგიითა და დაძაბვით მუშაობას. სახალხო მეურნეობის საბჭოს კომუნისტებს, ყველა მუშაკის ამოცანა ის არის, რომ დაუცხრომლად იბრძოლონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიული ორგანიზაცია შეძლებს ღირსეულად შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, უზრუნველყოს მეურნეობის მართვის ახლად შექმნილი ორგანოების გამართული მუშაობა და ამით ხელი შეუწყოს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

Ო. ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ — ᲛᲔᲯᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი, რომელსაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიკუთვნებული აქვს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ახალი შრომითი წარმატებებით ხვდება ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ვადაზე ადრე — 25 სექტემბრისათვის მცხეთის აგურკრამიტის ქარხნის, გაჯის წარმოებისა და ძეგვის კირის ქარხნის კოლექტივებმა გადამეტებით შეასრულეს სამეური მასალების გამოშვების თვიური გეგმები და თვის ბოლომდე დავალების გადამეტებით სამშობლოს მისცეს ათასობით ცალი აგური, ათობით ტონა კირი და გაჯი.

კომბინატის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა აგრეთვე საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება თიხის ჭურჭლის, ფეხსაცმლის, ფოტო და სამხატვრო ნაწარმის გამოშვების დარგში. ამ სახეობათა ნაწარმს ახლა იგი 1958 წლის ანგარიშში იძლევა.

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲛᲐ ᲛᲐᲒᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ

ყაზბეგის რაიონის ჟოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, ასრულებენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს მატყლის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა.

რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 1.119 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 1.200 ცენტნერი მატყლი.

მატყლის დამზადება და შესყიდვა გრძელდება.

(საქდესი)

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალისტური წყობილების მსხვრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა შექმნეს მსოფლიო ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, დაიწყეს ახალი საზოგადოების მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ განასაზოგადოვა წარმოების საშუალებანი, გადააქცია ისინი მთელი ხალხის საკუთრებად, შექმნა მეურნეობის სოციალისტური ფორმები, სოციალისტური ბაზისი. ახალი, სოციალისტური წარმოებათა ურთიერთობა გახდა ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი სწრაფი განვითარების მთავარი და მამოძრავებელი ფაქტორი.

• • •

საბჭოთა საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე. ჩვენში სოციალისტური საკუთრება არსებობს ორი ფორმით. მიწა, მისი წიაღი, ტყეები, წყლები, ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, ბანკები, რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, საცხოვრებელი შენობების უდიდესი ნაწილი ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში შეადგენენ სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების ობიექტებს, ე. ი. საყოველთაო-სახალხო საკუთრებას — სოციალისტური საკუთრების უმაღლეს ფორმას. ხოლო საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, რომლის ობიექტებს შეადგენენ კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების სამეურნეო ნაგებობანი და საწარმოები, მათი საწარმოო იარაღები, მუშა პირუტყვი, მეცხოველეობის ფერმები და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების მეორე ფორმას.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება და საბჭოთა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამეურნეო-ორგანიზატორული მუშაობის ფუნქცია უზრუნველყოფენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებას ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმის საფუძველზე, რომლის მეშვეობითაც ხდება სოციალისტური მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნათა რეალიზაცია. ამ გეგმების წარმატებით შესრულებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გასაღიდებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად, ეკონომიის რეჟიმის განსახორციელებლად, ტექნიკური გაუმჯობესებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დასანერგავად. ვ. ი. ლენინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ხედავდა ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეთოდს და მთელ ქვეყანაში მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას თვლიდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად. ამიტომაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურად ზრუნავენ სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ გაღრმავებისა და გაშლისათვის, მასში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმისათვის და ამ გზით საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, სახალხო მეურნეობის აღმავლობის უზრუნველყოფისათვის. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა შედეგად არნახული ტემპებითა და მასშტაბებით განვითარდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები.

ავიღოთ მრეწველობა. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ომამდელი ხუთწლედების პეროიდში მძლავრი ნახტომი გააკეთა თავის სამრეწველო განვითარებაში. 1940 წლისათვის მძიმე მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით თითქმის 12-ჯერ გაზარდა.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინანდებურად განსაკუთრებით ზრუნავს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც სავსებით შეესაბამება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს. 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით წარმოების საშუალებათა წარმოების საჭიროებისათვის გამოყენებული იყო 6-ჯერ მეტი ასიგნებანი, ვიდრე მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის. 1957 წელს წარმოების საშუალებათა წარმოება 74-ჯერ გაიდიდა 1913 წელთან შედარებით.

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია სოციალისტური ინდუსტრიის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლისა და ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის კონკრეტული პროგრამა. მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის საერთო ზრდა განსაზღვრულია დაახლოებით 65 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების გაიდება — 70 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება — 60 პროცენტით. მძიმე ინდუსტრიისა და საბჭოთა მეცნიერების ყოველმხრივი განვითარების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ შეძლო მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის აშენება და ატომური ენერგიის ჩაყენება ხალხის სამსახურში. ზეშორი, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა ხალხის ტრიუმფია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოთა ქვეყნის წარმატებები სოფლის მეურნეობის დარგში. საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობათა გამოყენებით სოფლის მეურნეობაში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ბაზა. კომუნისტურმა პარტიამ გამონახა მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა — სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც გლეხობის სოზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. მიწათმოქმედებაში მეურნეობის სოციალისტური ფორმების შექმნისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში უაღრესად დიდ როლს ასრულებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები.

განსაკუთრებით მკვეთრი აღმავლობის გზით წარიმართა სოფლის მეურნეობის განვითარება უკანასკნელი წლების მანძილზე. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების საქმეში. განხორციელდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და შესყიდვის ფასები, შემოღებულ იქნა დაგეგმვის ახალი წესი, რაც უზრუნველყოფს სოფლის მშრომელთა ინიციატივის კიდევ უფრო გაფართოებას. მიღებულია დადგენილება 1958 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში პურის მოსავლის მკვეთრი გადიდების საქმეში უდიდეს ღონისძიებას წარმოადგენს 35 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, რაც წარმატებით ხორციელდება. ხოლო მეცხოველეობის დარგში პროდუქციის მნიშვნელოვანმა ზრდამ შესაძლებელი გახადა ისეთი ამოცანის დასახვა, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის და კარაქის წარმოების მხრივ.

სოფლის მეურნეობის დარგში, ისევე როგორც მრეწველობის დარგში მიღწეული წარმატებები ხელს უწყობენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა გამოყენება და საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი განვითარება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს წარმოების ხელმძღვანელობის სისტემის სრულყოფას, მეურნეობის მართვის ლენინური პრინციპების შემოქმედებითად განვითარებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს ფართო ხასიათის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმების გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო VII სესიაზე, როგორც კანონი. სახალხო მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა გულისხმობს უფრო სრულყოფილი და მოქნილი ფორმების შექმნას და ამავე დროს მოსაწყობს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის შემოქმედებით განვითარებას.

• • •

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი მკაფიო გამოხატულებას პოულობენ მის კლასობრივ სტრუქტურაში. როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისთვის“, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის გამარჯვებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად არსებითად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა. ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული, პარაზიტული კლასები, ხოლო მუშათა კლასმა, გლეხთა კლასმა და სახალხო ინტელიგენციამ არსებითად იცვალეს სახე. მუშათა კლასი უკვე აღარ არის პროლეტარიატი ძველი გაგებით, საწარმოო საშუალებებს მოკლებული, ჩაგრული და ექსპლოატირებული. ჩვენი მუშათა კლასი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალისტურ საზოგადოებას.

ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ ახალი ტიპის გლეხობას წარმოადგენს საბჭოთა გლეხობა. იგი არის კოლმეურნე გლეხობა. რომელიც მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში და მისი ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. სწორედ მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირია ის ძალა, რომელმაც უზრუნველყო ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამხობა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

რაც შეეხება საბჭოთა ინტელიგენციას, იგი წარმოადგენს ახალ საზოგადოებრივ ფენას, რომელიც ძირითადად გამოსულია მუშათა კლასისა და გლეხობის წრიდან, პირნათლად ემსახურება კომუნისტური მშენებლობის საქმეს და არის ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. მუშების, გლეხობისა და ინტელიგენციის ინტერესების, შეხედულებების, მიზნების ერთიანობამ, მათმა დარაზმულობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო განაპირობა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ცხადია, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ჩვენს ქვეყანაში არ არიან ისეთი მტრული ელემენტები, რომლებიც ცდილობენ ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შესუსტებას, ჩვენში ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არის კაპიტალიზმის გადმონაშთები. მაგალითად, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ერძო-მესაკუთრული ტენდენციები, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დაუდევარი მოპყრობა, შოვინისტური და ნაციონალისტური გამოხდომები, თავაშვებულობა ყოფაცხოვრებაში, ხულიგნობა, ლოთობა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევები. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია სისტემატურ მუშაობას ეწევიან მშრომელთა აღზრდისათვის კომუნისტური სულისკვეთებით, საზოგადოების წინაშე მათი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირში არსებობენ ახალი ტიპის თავისუფალი, თანასწორი და სუვერენული სოციალისტური ერები, სანიმუშოდ მოწესრიგდა მათი ძმური თანამშრომლობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა პატრიოტიზმსა და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასთან ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის გრწყინვალე მონაპოვარი

იზრდება და მტკიცდება დაღისტნელ და ქართველ ხალხთა მეგობრობა

ДАГЕСТАНСКАЯ ПРАВДА

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი შესაძლებლობა შეუქმნა სსრ კავშირში მოსახლე ყველა ეროვნების პოლიტიკური და ეკონომიურ განვითარებას, ერთიან ძმურ ოჯახში ისინი შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ამრავლებენ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გაამარჯვა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ — ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკამ.

სამი წელია, რაც დუშეთისა და გუნიბის რაიონების (დაღისტნის ასსრ) საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, ჩვენი დიადი ქვეყნისათვის მეტი სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისაწოდებლად.

ამჟამად გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაცია საქართველოში იმყოფება. დელეგაციის წევრები ეცნობიან დუშეთის კოლმეურნეობათა მუშაობას, უზიარებენ მათ თავიანთ გამოცდილებას საკოლმეურნეო მშენებლობაში, გუნიბელი და დუშელი კოლმეურნეები გააფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას 1958 წელს მაღალი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. გუნიბელ და დუშელ კოლმეურნეთა შეხვედრა ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად გადაიქცა.

ქართველ და დაღისტნელ კოლმეურნეთა შეჯიბრებამ დიდებული ნაყოფი გამოიღო, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მშრომელთა ბრძოლას კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის — სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის მიღწევისათვის. გუნიბის რაიონის მშრომელები პირნათლად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან მე-40 წლისთავს.

ეს ნათლად ჩანს ამ გვერდში დაბეჭდილი მასალებიდან, რომლებიც სპეციალურად მოამზადა სკკპ დაღისტნის საოლქო კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „დაგესტანსკაია პრავდამ".

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც მოძმე საქართველოს დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული, ყოველდღიურად აძლიერებენ ბრძოლას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე, ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის მოახლოებულ მე-40 წლისთავს.

გუნიბის რაიონის ეკონომიკის ძირითად დარგად და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ მეცხოველეობა ითვლება.

გავიდა მიმდინარე სამეურნეო წლის მხოლოდ ცხრა თვე და უკვე მოვიპოვეთ პირველი სერიოზული შედეგები ამ შეჯიბრებაში.

1 ოქტომბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის დაწესებული გეგმა და ჰყავთ სახელმწიფო დავალებაზე 15 ათასი სულით მეტი ცხვარი, 200 სულით მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ცხვრის საერთო სულადობის დაახლოებით 80 პროცენტი გაუმჯობესებული ჯიშისაა, რომელიც იძლევა წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლს, გაუმჯობესებული ჯიშის არის აგრეთვე ძროხების 35 პროცენტზე მეტი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდას უმთავრესად მივაღწიეთ ჯოგის საკუთარი კვლავწარმოების გზით, პირუტყვის დაცემის შემცირებით. ყოველ 100 სულ დედაპირუტყვზე შენარჩუნებულია 85 ხბო და 102 ბატკანი.

კარგად დაყენებული კვების, შენახვისა და მოვლის შედეგად რაიონის კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისა და სახელმწიფო დამზადებათა საქმეში.

1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველილია 1.115 კილოგრამი რძე, ყოველი ცხვრის ნაპარსმა საშუალოდ მარტო გაზაფხულის პარსვისას შეადგინა 2,9 კილოგრამი. ეს 900 გრამით მეტია იმაზე, რაც გასული წლის გაზაფხულზე იყო მიღებული. ხორცის სახელმწიფო ჩაბარებისა და შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, კარაქისა — 172, მატყლისა — 161 პროცენტით. სახელმწიფოს ჩავაბარეთ და მივყიდეთ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხორცი 2.349 ცენტნერით მეტი, კარაქი 4.375 კილოგრამით და მატყლი 786 ცენტნერით მეტი. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული მარტო მატყლითა და ხორცით კოლმეურნეობებმა მიიღეს 20 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი.

დუშელებთან სოციალისტური შეჯიბრება, რაც სამი წელია გრძელდება, ბადებს მეცხოველეობის სულ ახალ მოწინავეებს, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მუშაობაში. მაგალითად, სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავებმა შ. ახმედოვამ და ა. ალიევამ თვითეულ ძროხაზე მოწველეს 2.700 კილოგრამი რძე, ხოლო სოფელ სოგრატლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ა. ამიროვამ — 1.848 კილოგრამი.

სოფელ ობოხის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მწყემსმა ა. იაკუბოვმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწყემსთან შიო ნაზლაიძესთან, პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება — ყოველ 100 დედაცხვარზე შეინარჩუნა 115 ბატკანი და თვითეულ ცხვარზე მიიღო 5 კილოგრამი მატყლი. პარტიის დუშეთის რაიკომისა და რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა ვიმპელი, რომლის ფონზე სწერია: „დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მოწინავე მწყემსს საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის მეცხოველეებისაგან".

ასეთია ზოგიერთი შედეგი, რომელიც გუნიბელებმა მოიპოვეს დუშელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და რითაც ჩვენ ვხვდებით დიდ ისტორიულ დღესასწაულს — ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ყველა ეს წარმატება მოპოვებულია სწორად და კარგად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად. რაიონის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს სისტემატურ კონტროლს კოლმეურნეობებისა და ცალკეული კოლმეურნეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი, შეჯიბრების მიმდინარეობა რეგულარულად მოწმდება და შედეგები ქვეყნდება გაზეთებში, განიხილება კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

საუკეთესო კოლმეურნეები და მოწინავე კოლმეურნეობები შეგვაქვს საპატიო დაფებზე, ენიჭებათ წითელი დროშები, ვიმპელები, პრემიები. ამ შეჯიბრებაში ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი ეკუთვნით კომუნისტებსა და კომკავშირელებს, რომელთა რიგები სულ უფრო იზრდება ფერმებში, მეცხოველეობის ყველაზე ძირითად და ძნელ უბნებზე.

პირუტყვის ჯანსაღად გამოზამთრების მიზნით კოლმეურნეობებმა უკვე დაამზადეს 30 ათასი ტონა უხეში საკვები და 8 ათას ტონაზე მეტი სილოსი. საზამთრო საძოვრებზე დამთავრდა ან დამთავრების სტადიაშია მეცხოველეობის 19 სადგომი და მწყემსთა 12 საცხოვრებელი ბინა.

რაიონის კოლმეურნეობები ავითარებენ არა მარტო მეცხოველეობას, არამედ ისეთ დარგებსაც, როგორიც არის მემინდვრეობა და მებაღეობა. მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაშენებულ იქნა 100 ჰექტარი ახალი ბაღი და ვენახი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო გზა გაუხსნა კავკასიის ხალხებს, დაამშობილა და დაამეგობრა ისინი. ეს პოლიტიკა შემდგომშიც მოგვცემს თავის შესანიშნავ ნაყოფს.

მ. გაზილალიევი,
სკკპ გუნიბის რაიკომის მეორე მდივანი.

დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ქალები (მარცხნიდან) ა. ახმედოვა, მ. ყადიროვა და შ. ახმედოვა საუბრობენ ძროხების მოწველის წინ.

ფოტო ა. ბოროვსკისა.

ჩვენი მაღლობა

დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის უფროს მწყემსთან შიო ნაზლაიძესთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვიკისრე მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც კიდევაც შევასრულე. ჩემს ფარაში ყოველ 100 დედაცხვარზე მიღებული და შენარჩუნებულია 115 ბატკანი. მივიღეთ მატყლის მაღალი ნაპარსიც. დაღისტნის მთის ჯიშის ყოველ ცხვარზე საშუალოდ გავპარსეთ 5 კილოგრამი მატყლი. ფარის ცხვარი სავსებით ჯანსაღად არის. წლის დასაწყისიდან არ ყოფილა პირუტყვის დაცემის არც ერთი შემთხვევა.

ეს მიღწევები მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ ვცდილობ ფარაში ცხვრები ყოველთვის მაძღარი, კარგი მეხორცებისა და ჯანმრთელი იყვნენ.

ამჟამად ჩემს ფარაში 700 დედაცხვარზე მეტია. მათ კარგად გამოზაფხულეს საძოვრებზე, ზამთარს გაატარებენ ყიზლარში.

მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებასა და მოზარდეულის სულადობის შენარჩუნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დოლს. ადრეულად დაბატკნიანებისათვის დედაცხვრები ითესლებიან ზაფხულის ბოლოს, როცა საძოვრებზე საუცხოო ბალახია და პირუტყვიც კარგი შეხორცებისაა. ამას კი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სრულფასოვანი ნამატის მიღებაში. დაბატკნიანება წარმოებს შუა ზამთარში. ამ დროისათვის დედაცხვრები ინარჩუნებენ კარგ შეხორცებას, რაც ხშირად არ არის გაზაფხულის დოლის პერიოდში.

ადრეული დოლის დროს მიღებული ბატკნები ჯანმრთელები და გამძლეებია და, როგორც წესი, გაზაფხულისათვის ასწრებენ გამაგრებას, ძალთა მოკრებას და იმდენად იზრდებიან, რომ ადვილად და დაუკავდებლად იტანენ გადარეკვის სიძნელეებს. ამას გარდა ზაფხულისათვის მათ ეზრდებათ მატყლი, რის გაპარსვაც შეიძლება.

ცოტა დრო დარჩა დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავამდე, ოქტომბრისა, რომელმაც ჩვენ, ძველათ ჩაგრული, უმწეო და უუფლებო გლეხობა თავისუფალი ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოგვიყვანა.

მე კვლავ ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩემს კოლეგასთან — დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის უფროს მწყემსთან შიო ნაზლაიძესთან და ვალდებულებას ვკისრულობ ახალ — 1958 წელს მთლიანად შევინარჩუნო ჩემთვის მოსავლელად მოჩენილი ფარის მთელი სულადობა, გავზარდო ყოველ 100 დედაცხვარზე 120 ბატკანი და მივიღო საშუალოდ თვითეულ ცხვარზე 5,5 კილოგრამი მატყლი.

ა. იაკუბოვი,
სოფელ ობოხის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

ვამაყობთ სახელოვანი მეცხოველეებით

მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა ზოგიერთ წარმატებას მიაღწია მეცხოველეობის დარგში. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 119 პროცენტით.



დუშელებთან სოციალისტური შეჯიბრებით ვიკისრეთ თვითეულ ცხვარზე მივიღოთ 2,8 კილოგრამი მატყლი, ყოველ 100 დედაცხვარზე შევინარჩუნოთ 103 ბატკანი, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ 1.300 კილოგრამი რძე და 100 ძროხაზე შევინარჩუნოთ 90 ხბო. კოლმეურნეობაში თვითეულ ცხვარზე მატყლის ნაპარსმა შეადგინა 3,8 კილოგრამი, ბატკნების შენარჩუნებამ — 114 პროცენტი.

ჩვენი არტელი ამაყობს თავისი სახელოვანი მეცხოველეებით, რომლებსაც მაღალი მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში. ასე, მაგალითად, მეცხვარეობის პირველ ბრიგადაში, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 1.724 სული ცხვარი, თვითეულზე მიღებულია 4 კილოგრამი მატყლი. ამ ბრიგადის მწყემსმა მუსა ომაროვმა ყოველ ცხვარზე მიიღო 5 კილოგრამი მატყლი. მეორე ბრიგადაში თვითეულ ცხვარზე მიღებულია 3,7 კილოგრამი მატყლი, მწყემსმა მ. ახმედოვმა კი მიიღო 4 კილოგრამი.

თვითეულ საფურაქე ძროხაზე კოლმეურნეობაში უკვე მოწველილია 1.400 კილოგრამი რძე და შენარჩუნებულია ხბოების 90 პროცენტი. სერიოზულ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა მწველავებმა. მაგალითად, ხადიჟატ მაგომედამინოვამ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 1.500 კილოგრამი რძე, ხადიჟატ ხაიბულაევმა — 1.400 კილოგრამი და ა. შ.

კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. სულ სახელმწიფოს ჩაბარდა 91 ცენტნერი კარაქი და 66,4 ტონა მატყლი, რაც 26,9 ტონით მეტია, ვიდრე 1956 წელს იქნა ფაქტიურად ჩაბარებული.

განსაკუთრებული გვაქვს დიდი საშუშაო შეესრულოთ ცხვრის ჯიშიანობისა და სანაშენო საქმის გასაუმჯობესებლად. მაღალპროდუქტიული ყოჩი-მწარმოებლების გამოყენება სანაშენო მუშაობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა. ამ მიზნით წელს შევიძინეთ დაღისტნის მთის ჯიშის 10 სული სანაშენო ცხვარი, რომელთაგან თვითეულის ცოცხალი წონა 80-85 კილოგრამია და მატყლის ნაპარსი 8 კილოგრამს შეადგენს.

ამას გარდა 1958 წელს უნდა შევიძინოთ „საბჭოთა მერინოსის" ჯიშის 500 ცხვარი, რათა გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა. ამ ღონისძიებით ჩვენ უახლოეს ორ წელში მკვეთრად გავადიდებთ მატყლის ნაპარსს და მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, რომ მივიღოთ მხოლოდ წმინდა და ნახევრად წმინდა მატყლი.

დავსახეთ ღონისძიებანი მერძეული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. წელს ზამთრის საძოვრებზე დავამზადეთ 4.440 ტონა უხეში საკვები და ჩავდეთ 500 ტონა სილოსი. უკვე ავაშენეთ ფარები 1.000 სული ცხვრისათვის, ორი სახლი მწყემსთათვის და ორიც არტეზიული ჭა.

იბრძვიან რა დუშელ მეცხოველეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, სოფელ ბუხტის კოლმეურნეობის წევრები აღსავსენი არიან რწმენით — თვითეანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული იმ ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ მიზნით ვიკისრეთ გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის 1956 წელთან შედარებით: ხორცისა — 2,7, რძისა — 2,5 და მატყლისა — 3,5-ჯერ.

ი. რამაზანოვი,
სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კვლავ ვიწვევ ჩემს კოლეგას

ჩვენზე, მწველავებზე, ბევრად არის დამოკიდებული პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება, კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდა. თუ პატიოსნად და კეთილსინდისიერად ვიმუშავებთ, ქვეყანა მეტ ხორცს, რძესა და კარაქს მიიღებს.

დიდი ძალა და შრომა მოვახმარე ჩემს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას დუშეთის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულ მწველავ ელენე პირმისაშვილთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. მოსავლელად მოჩენილ თვითეულ ძროხაზე მიმდინარე წლის 9 თვეში მივიღე 2.534 ლიტრი რძე (წლიური გეგმით უნდა მივიღო 3.400 ლიტრი რძე). ეს 500 ლიტრით მეტია იმაზე, რასაც გასული წლის შესაბამის პერიოდში მივაღწიე, მაგრამ არც ეს არის ზღვარი.

საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ თუ ინდივიდუალურად მივუდგებით ძროხებს, მაშინ წველადობაც შეიძლება მნიშვნელოვნად ამაღლდეს.

ხალხური ანდაზა ამბობს, — ძროხას რძე ენაზე აქვსო, და ეს სწორიც არის. მეტი რძის მისაღებად უპირველეს ყოვლისა საჭიროა პირუტყვი კარგად ვკვებოთ. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემთვის მოსავლელად მოჩენილი ძროხები დროულად იყვნენ მაძღარნიც და დარწყულებულნიც.

მაღალი წველადობა მარტო უხვ კვებაზე როდია დამოკიდებული. შესაძლებელია საკვები ბევრი დავხარჯოთ, მაგრამ რძე ვერ მივიღოთ. საჭიროა აგრეთვე პირუტყვის მზრუნველი მოვლა. ძროხებს სუფთად ვინახავ, ბაგური შენახვის პერიოდში რეგულარულად ვუშვებ გარეთ სუფთა ჰაერზე.

ჩვენს ფერმაში მუდამ სრული წესრიგია. ბინას ვასუფთავებთ დღეღამეში ოთხჯერ მაინც. საძროხეში არ ვუშვებთ სინესტეს, გამჭოლ ქარს, საკვებურებისა და სარწყულებლების დაბინძურებას.

თვითეულ ძროხას მიჩენილი აქვს მუდმივი ბაგა. პირუტყვი კარგად იცნობს თავის მეზობელს და ეჩვევა მას, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევებში ცხოველი ნაკლებად ჟინიანობს, კარგად ჭამს საკვებს და სიამოვნებით იძლევა რძეს.

ფერმაში მოწყობილია ელექტროსაწველი აგრეგატი. ეს ბევრად გვიმსუბუქებს შრომას მეცხოველეებს. ამის მიუხედავად ყოველთვის ვამოწმებ, კარგად არიან თუ არა გამოწველილი ძროხები. თუ ცურში რძეს აღმოვაჩენ, ვახდენ ხელით გამოწველას.

ლაქტაციის პირველ დღეებში ხშირი წველა, ცურის გაძლიერებული მასაჟი ხელს უწყობს სარძეო ჯირკვლების განვითარებას და წველადობის გადიდებას.

პირობა დავდე 1958 წელს თვითეულ ძროხაზე მივიღო 3.500 ლიტრი რძე. ვიწვევ ჩემს კოლეგას დუშეთის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობიდან — ელენე პირმისაშვილს.

ა. ახმედოვა,
სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ახალი წარმატებებისათვის

მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გუნიბის რაიონის სოფელ რუგუჯის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის მეცხოველეებთან, მაგრამ რა საგრძნობი ცვლილებები მოხდა ამ მოკლე



ხნის მანძილზე კოლმეურნეობის ეკონომიკაში! კოლმეურნეებმა უკვე 9 თვეში გადამეტებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის განვითარების დარგში.

მიმდინარე წლის 9 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მოწველილია 990 კილოგრამი რძე. ეს 177 კილოგრამით მეტია იმაზე, რაც 1956 წელს იყო მიღებული. ყოველ 100 დედაპირუტყვზე შენარჩუნებულია 87 ხბო და 102 ბატკანი. წელს მარშანდელთან შედარებით თვითეულ ცხვარზე მატყლის ნაპარსი 0,4 კილოგრამით გაიზარდა. არტელმა გაანაღდა მატყლის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა და საშშობლოს დავალების ზევით ჩააბარა 5 ათასი კილოგრამი მატყლი. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 122, კარაქისა — 133 პროცენტით.

მიღწევებია მოპოვებული აგრეთვე მემინდვრეობაში. მარტო მიმდინარე წელს კოლმეურნეობის ნათესი ფართობი გაიზარდა 65 ჰექტარით. ამაღლდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ გვაქვს გამოუყენებელი შესაძლებლობანი და რეზერვები. ავლენენ რა ამ შესაძლებლობებს, კოლმეურნეები 1958 წლისათვის კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს,—ითვალისწინებენ ცხვრის სულადობის 30 და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის 20 პროცენტით გადიდებას, მატყლის საერთო გამოსავლის 50 პროცენტით ამაღლებას, თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.200 კილოგრამი რძის მიღებას, რაც 200 კილოგრამით მეტია, ვიდრე 1957 წელს გვაქვს დასახული.

დიადი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ჩაპაეველები ახალი სახელოვანი წარმატებებით შეხვდებიან.

ი. აზიზოვი,
სოფელ რუგუჯის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეოგის სპეციალისტთა სოციალისტური ვალდებულებანი 1958 წლისათვის

ჩვენი რაიონის მშრომელებმა დუშეთის რაიონის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრების დროშით მოიპოვეს შესანიშნავი წარმატებები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, კერძოდ კი მეცხოველეობაში, რომელიც კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარი წყაროა.

გავიანგარიშეთ რა არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები, გადაწყვიტეთ განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება დუშეთის რაიონის მშრომელებთან 1958 წლისათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ამ მიზნით ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებათა შესრულებას:

1. ავიყვანოთ პირუტყვის საერთო სულადობა: ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 10 ათას სულამდე, მათ შორის ძროხებისა — 3.600 სულამდე; ბ) ცხვრისა — 143 ათას სულამდე, მათ შორის დედაცხვრისა — 75 ათას სულამდე; გ) ღორისა — 300 სულამდე; დ) ფრინველისა — 3.500 ფრთამდე.

2. საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდის უზრუნველყოფისა და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით გავატარებთ შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ხელოვნურად დავთესლავთ 3.100 სულ ძროხას, 75 ათას სულ ცხვარს, რისთვისაც რაიონის კოლმეურნეობებში მოვაწყობთ ცხვრისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხელოვნური დათესლვის 32 პუნქტს.

ბ) ორგანიზებულად და უდანაკარგოდ ჩავატარებთ ნამატის მიღების კამპანიას, მივიღებთ მოზარდეულს ყოველ 100 დედაპირუტყვზე: ხბოს — 90 სულს, ბატკანს — 105 სულს.

3. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოვწველით 1.350 კილოგრამ რძეს, ერთ ცხვარზე საშუალოდ მივიღებთ 3,1 კილოგრამ მატყლს.

4. გასუქებაზე დავაყენებთ და გავასუქებთ სულ ცოტა 1.500 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 21 ათას სულ ცხვარსა და თხას, 104 სულ ღორს.

1958 წელს დავამზადებთ: 39 ათას ტონა თივას, 12 ათას ტონა სილოსს, 10.700 ცენტნერ კონცენტრირებულ საკვებს.

მთელ დამზადებულ თივას მივზიდავთ ფერმებთან 1958 წლის 1 ოქტომბრისათვის.

5. დავამთავრებთ 4 მექანიზებული სარძეო-სასაქონლო ფერმის მშენებლობას სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის, სოფელ ობოხის ფრუნზეს სახელობის, სოგრატლის სტალინის სახელობისა და ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

6. 1958 წელს ავაშენებთ პირუტყვის სადგომებს: ხუთ ბინას 400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, ხუთ სახბორეს — 270 სულისათვის, 3 საღორეს — 130 სულისათვის, 7 ფარეხს — 5.600 სული ცხვრისათვის, 2 საფრინველეს, 15 სასილოსე ნაგებობას — კოშკსა და ნახევრად კოშკს 570 ტონის ტევადობით, 7 მარცვალსაცავს 350 ტონის ტევადობით.

7. მეცხოველეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საძოვრებზე გავატარებთ შემდეგ ღონისძიებებს:

ა) საზამთრო ბინებთან 1958 წელს ავაშენებთ 10 აბანოს; ბ) უზრუნველყოფთ ყველა 60 საზამთრო ბინაში წითელ კუთხეებს გაზეთებით, ჟურნალებით, წიგნებით. ყველა საზამთრო ბინაში დავდგამთ რადიომიმღებს.

8. 1958 წელს მოვამზადებთ მეცხოველეობისათვის მასობრივი კვალიფიკაციის 250 მუშაკს სამწლიან ზოოტექნიკურ კურსებზე.

9. შევასრულებთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმას: ხორცისას — 1958 წლის 1 ნოემბრისათვის, რძისას — 1958 წლის 1 ოქტომბრისათვის, მატყლისას — 1958 წლის 15 ივლისისათვის და ტყავნედლეულისას — 1958 წლის 1 დეკემბრისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების არბიტრობას ვთხოვთ გაზეთ „კომუნისტსა" და „დაგესტანსკაია პრავდას".

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია რაიონის კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 9 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა გვირგვინებით შეამკო სპომენ-გრობლეს სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა და იუგოსლავი მეომრები. გვირგვინებით შემკობის დროს ჩამწკრივებული იყო სამხედრო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შემოიარეს სასაფლაო. სპატიო წიგნში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ჩაწერა შემდეგი:

„სამარადისო დიდება გმირებს — საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს, რომლებიც იუგოსლავი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპნენ“.

გვირგვინებით შემკობის დროს მარშალ გ. კ. ჟუკოვს თან ახლდნენ იუგოსლავიის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. ვუჩკოვიჩი, გენერალ-პოლკოვნიკი პ. იაკშიჩი, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ლუბიჩიჩი, გენერალ-მაიორი მ. დასოვიჩი, ბელგრადის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ტომიჩი და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ს. ანდრეევიჩი. გვირგვინებით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ი. კ. ზამჩევსკი.

სასაფლაოსთან შეკრებილი ბელგრადის მცხოვრებლები გულთბადად მიესალმნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს მარშალ გ. კ. ჟუკოვს.

მარშალი გ. კ. ჟუკოვი დღეს ეწვია აგრეთვე იუგოსლავიის სახალხო არმიის უმაღლეს სამხედრო აკადემიას. აკადემიის სარდლობამ და მსმენელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მარშალს.

იუგოსლავიის სახალხო არმიის უმაღლესი სამხედრო აკადემიის უფროსთან გენერალ-პოლკოვნიკ რადოვან ვუკანოვიჩთან საუბრის შემდეგ გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ აკადემიის მუშაობას, დაესწრნენ მეცადინეობას ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის შემსწავლელ ჯგუფებში.

საღამოს საკავშირო აღმასრულებელ ვეჩეში გაიმართა დარბაზობა, რომელიც სახალხო თავდაცვის სამეთაო სახელმწიფო მდივანმა არმიის გენერალმა ი. გოშნიაკმა მოაწყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ გ. კ. ჟუკოვის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ა. რანკოვიჩი და რ. ჩოლაკოვიჩი, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სმირნი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები, იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, ქალაქის ხელისუფალთა, ბელგრადის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ გულითად კითარებაში ჩაიარა.

ბელგრადი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით იუგოსლავიაში მყოფი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები გუშინ საღამოს სპეციალური მატარებლით ბელგრადიდან ზაგრებში გაემგზავრნენ.

იუგოსლავიაში მოგზაურობის დროს მარშალ გ. კ. ჟუკოვს ახლავან იუგოსლავიის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. ვუჩკოვიჩი და გენერალ-მაიორი მ. დასოვიჩი.

ბელგრადის ვაგზალში მარშალი გ. კ. ჟუკოვი გააცილეს სახალხო თავდაცვის სამეთაო სახელმწიფო მდივანმა არმიის გენერალმა ი. გოშნიაკმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ი. კ. ზამჩევსკიმ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი

პეკინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

20 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე (გაფართოებული) პლენუმი.

პლენუმს ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის 91 წევრი და 62 წევრობის კანდიდატი. პლენუმს აგრეთვე ესწრებოდნენ პროვინციების, ცენტრალური დაქვემდებარების მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური ოლქების პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, საოლქო პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, ცენტრალური დაქვემდებარების მუნიციპალიტეტების რაიონული კომიტეტების მდივნები, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური მთავრობის სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები — სულ 416 კაცი.

პლენუმმა მოისმინა ამხ. დენ სიაო-პინის მოხსენება მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის მოძრაობის შესახებ, ამხ. ჩენ იუნის მოხსენება სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის გაუმჯობესების საკითხსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საკითხზე და ამხ. ჯოუ ენ-ლაის მოხსენება ხელფასის, სოციალური დაზღვევისა და სხვა სიკეთის საკითხზე. პლენუმსა და ჯგუფების სხდომებზე გაჩაღდა ამ საკითხების გაცხოველებული განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პლენუმის ყველა დამსწრემ, რის შემდეგაც ეს მოხსენებანი ერთსულოვნად მოიწონეს.

პლენუმმა მიიღო სოფლის მეურნეობის 1956-1967 წლების განვითარების პროგრამა (გადასინჯული პროექტი). ეს გადასინჯული პროექტი გაიგზავნება მთელი ჩინეთის სოფლებში განსახილველად, შემდეგ წარედგინება კომუნისტური პარტიის ყრილობას განსახილველად და მოსაწონებლად, რის შემდეგაც წარედგინება განსახილველად და მოსაწონებლად სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას.

პლენუმმა აგრეთვე მიიღო დებულება მრეწველობის მართვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ (პროექტი), დებულებანი ვაჭრობის მართვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ (პროექტი), დებულებანი ფინანსური სისტემის გაუმჯობესებისა და ფინანსური მართვის დარგში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფალთა რწმუნებების განსაზღვრის შესახებ (პროექტი), აგრეთვე პროექტი დებულებისა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და სოციალური დაზღვევის შესახებ და სხვ. დოკუმენტების ეს პროექტები წარედგინება ან სახელმწიფო საბჭოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად, ან სახელმწიფო საბჭოს მიერ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს შესასწავლად.

პლენუმის დამთავრების წინ სიტყვა წარმოთქვა ამხ. მაო ძე-დუნმა.

ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დღევანდელი მორიგი პრესკონფერენცია უმთავრესად მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას.

პრესკონფერენციის დასაწყისში კორესპონდენტებს დაურიგდათ ტექსტი პრეზიდენტის წინასწარ მომზადებული განცხადებისა სათაურით „დიდმნიშვნელოვანი ფაქტების მიმოხილვა, რომლებიც ეხება შეერთებული შტატების მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნას“.

განცხადებაში ჩამოყალიბებულია „საერთაშორისო გეოფიზიკურ წელიწადში შეერთებული შტატების მონაწილეობის წესით დედამიწის პატარა არამართული ხელოვნური თანამგზავრების გაშვების ამერიკული გეგმები“.

ხელოვნურ თანამგზავრზე მუშაობის პროგრამების ხელმძღვანელებმა, აღნიშნულია განცხადებაში, „გადაწყვიტეს, რომ პატარა ბურთისებრი ხელოვნური თანამგზავრები სასინჯ მოწყობილობათა სახით გაშვებული იქნება 1957 წელს რაკეტული ტექნიკის, ხელსაწყოებისა და მიწისზედა სადგურების შესამოწმებლად და რომ პირველი სავსებით მოწყობილი ხელოვნური თანამგზავრი გაშვებული იქნება 1958 წლის მარტში. პირველი სასინჯი თანამგზავრის გაშვება განზრახულია მიმდინარე წლის დეკემბერში“.

„რაც შეეხება დედამიწის საბჭოთა ხელოვნურ თანამგზავრს, — ნათქვამია შემდეგ პრეზიდენტის განცხადებაში, — ჩვენ ვფლობთ საბჭოთა მეცნიერებს ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას ორბიტზე“.

აცხადებს რა, რომ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ამერიკული პროგრამა „არასოდეს არ ხორციელდებოდა სხვა ქვეყნების გამოდევნების სახით“, პრეზიდენტი ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების ჩამორჩენას ამ დარგში იმით ამართლებს, რომ რაკეტული მატარებლის მომზადება თანამგზავრის გასაშვებად „განზრახ დაშორდა“ ღონისძიებებს ბალისტიკური მართული ყუმბარების შექმნის დარგში, „რომლებიც ყველაზე პირველი რიგისანი არიან“.

მაგრამ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს ბალისტიკურ მართულ ყუმბარებზე მუშაობის დარგში, რომელთა ამასწინანდელი გაშვება წარუმატებლად დამთავრდა.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ სსრ კავშირმა მიაღწია თითქოს მხოლოდ პოლიტიკურ და არა მეცნიერულ უპირატესობას შეერთებული შტატების წინაშე. ამერიკის შეერთებულ შტატებს, თქვა პრეზიდენტმა, განზრახული აქვთ თავისი პირველი თანამგზავრი გაუშვან უკვე მიმდინარე წლის დეკემბერში. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პირველ ამერიკულ თანამგზავრს არ ექნება „რთული აპარატურა“ და მას გაუშვებენ მხოლოდ ორბიტზე გაყვანის მიზნით. მანამდე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები გაუშვებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს რთული აპარატურით, თქვა ეიზენჰაუერმა, მთ მოუხდებათ „გაუშვან რამდენიმე უფრო მარტივი თანამგზავრი“.

ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვაზე პასუხისას ეიზენჰაუერმა თქვა, რომ, მისი აზრით, დედამიწის საბჭოთა თანამგზავრი არ წარმოადგენს საფრთხეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იგი გაშვებულია მძლავრი რაკეტის საშუალებით.

რაც შეეხება საბჭოთა რაკეტს, განაგრძო მან, ჩვენ დღემდე არ ვიცით მისი სიზუსტის დონე. მაგრამ, დასძინა პრეზიდენტმა, თვით რაკეტის გაშვების ფაქტი და მის მიერ წინასწარ დასახული რაიონის მიღწევა დიდი წარმატებაა.

დაღესის განცხადება

ვაშინგტონი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში ეიზენჰაუერთან და სტასენთან თათბირის შემდეგ, რომელიც განიარაღების საკითხებს მიეძღვნა, დალესმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თვითსამართავი ყუმბარებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისადმი კონტროლის საკითხი გამოიყოს განიარაღების საერთო პრობლემიდან და ეს საკითხი ცალკე იქნას განხილული. მან განაცხადა, რომ ასეთი წინადადება შეტანილ იქნება განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე.

კორესპონდენტებმა სახელმწიფო მდივანს მისცეს კითხვა საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების მნიშვნელობაზე. დალესი ცდილობდა დაეკნინებინა საბჭოთა კავშირის წარმატება და ამტკიცებდა, რომ თანამგზავრის გაშვებით საბჭოთა კავშირმა მიაღწია მხოლოდ „ერთგვარ პროპაგანდისტულ უპირატესობას“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ფხენიანი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც კორეის რადიო იუწყება, დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა გამოაქვეყნა განცხადება ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა უწესობის შესახებ სამხრეთ კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

მოჰყავს რა სამხრეთ კორეაში ამერიკის სამხედრო ხროვის სისხლიან ბოროტმოქმედებათა მრავალი შემთხვევა ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ, რაც განსაკუთრებით გახშირდა ამ ბოლო დროს, ნამ ირი აღნიშნავს, რომ ამ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზია ამერიკის შეიარაღებული ძალების ყოფნა სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, ბუნებრივია, ვერ მოითმენს შეურაცხყოფასა და მხეცობას, რასაც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები სჩადიან თანამემამულეთა მიმართ სამხრეთ კორეაში და გადაჭრით მოითხოვს ამ ბოროტმოქმედებათა და დანაშაულობათა შეწყვეტას, დამნაშავეთა დასჯას და ამერიკის შეიარაღებული ძალების გაყვანას სამხრეთ კორეიდან.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალიზმის მოქმედებას სამხრეთ კორეაში და დანაშაულობას, რასაც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები სჩადიან სამხრეთ კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აბრით.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, განაცხადა ნამ ირმა, გადაჭრით ილაშქრებს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ამერიკის მხარის მიერ. დაზავება კორეაში მტკიცე მშვიდობად უნდა გადაიქცეს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის დასაჩქარებლად საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული საერთაშორისო თათბირი დაინტერესებული ქვეყნების ფართო მონაწილეობით.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის მეორე კანდიდატმა რენე პლევენმა, რომელიც ამოცანად ისახავდა შეექმნა „ფართო ეროვნული ფრონტის“ მთავრობა, მარცხი განიცადა და უარი თქვა მისთვის მინდობილ ამოცანაზე.

გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა კოტომ დაიწყო ახალი კონსულტაცია მესამე კანდიდატის ასარჩევად.

მთავრობის კრიზისის დღეებში მემარჯვენე პარტიები და პრესა ისწრაფვიან საფრანგეთის საზოგადოებრიობა ჩამოაშორონ ალჟირში მშვიდობის აღდგენის გადაუდებელი პრობლემის განხილვას და აცხადებენ თითქოს მტკიცე მთავრობის შესაქმნელად საჭიროა კონსტიტუციური რეფორმა. ამ მანევრს გადაჭრით ამხილებენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სოციალისტური ფედერაციის ჯგუფი.

გაერთიანებულ სხდომაზე მორის ტორეზის თავმჯდომარეობით ცენტრალურმა კომიტეტმა და პარლამენტის კომუნისტთა ჯგუფმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ყველა მანევრის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია იმ ფაქტის შენიღბვა, რომ პრობლემები, რომლებიც ალჟირის ომმა წამოაყენა, განსაზღვრავენ საფრანგეთის მთელ პოლიტიკას და რომ კრიზისი პარლამენტის უბრალო ინციდენტი არ არის, გაისმის სულ ახალ-ახალი ხმები სხვა პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს მოუღებს ომს, რისი განგრძობის წინააღმდეგ გამოდის ჩვენი ხალხის უდიდესი უმრავლესობა“.

ცირკში დაიწყო ახალი სეზონი

თბილისის სახელმწიფო ცირკში დაიწყო ახალი სეზონი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საცირკო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები.

დარბაზი მაყურებლებით არის სავსე. თბილისის ცირკის შენობაში კვლავ გაისმა ანდრია ყარაშვილის „სამშობლოს“ მელოდია. მრავალი წყვილი თვალი გაფაციცებით უცქერის ოს მოჯირითე ცხენოსნებს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალი-ბეკ კანტემიროვის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფს საბჭოთა მაყურებელი კარგად იცნობს კინოფილმ „მამაცი ადამიანების“ მიხედვით, სადაც ისინი რთულ ილეთებს ასრულებენ. ცირკის არენაზე ამ ცხენოსნების გამოჩენა მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. არენაზე ცხენები ისე მოძრაობენ, რომ მაყურებელს ბგონია, თითქოს მინდორზე გამართულ მარულას უცქერის. უფრო სწრაფად მოძრაობენ ოსი მხედრები. ისინი გაჭენებული ცხენიდან არაჩვეულებრივი სიზუსტით ახვედრებენ ნიშანში ტყვიას. ფხაბასრი ხმლები პირში უჭირავთ და ისე ასრულებენ გაჭენებულ ცხენებზე ვირტუოზულ მოძრაობებს. ყურადღების დიდი დაძაბვაა საჭირო, რომ მხედრების მიერ შესრულებული რომელიმე სწრაფი ილეთი უეცრად მხედველობიდან არ გამოგეპაროთ. ოსი ცხენოსნების გამოსვლები დიდხანს ემახსოვრება ჩვენს მაყურებელს. მათ გვიჩვენეს ვაჟკაცობა, სისწრაფე და მაღალი ოსტატობა.

მიმდინარე სეზონში საცირკო სანახაობის ერთ-ერთი საინტერესო და მომზიდველი ნომერი აქვთ სახაერო გიმნასტებს — სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს პ. შჩეტინინს და მის ქალიშვილს. რამდენი გამბედაობა ჩანს მამა-შვილის მიერ შესრულებულ ვარჯიშებში, რომლებიც სრულდება ჰაერში, ცირკის გუმბათის ქვეშ; მით უმეტეს, რომ, ქვემოთ, ცირკის არენის თავზე არ არის ბადე.

„აკრობატები აქლემებზე“ — ასე ეწოდება მსახიობთა ჯგუფს რსფსრ დამსახურებული არტისტის იანუშევსკის (კადირ-გულიამი) ხელმძღვანელობით. ცირკის არენაზე გამოდის ორკუზიანი ხუთი აქლემი. აკრობატები მათ კუზებზე ასრულებენ რთულ საინტერესო ვარჯიშს.

მაყურებლის წინ დგას ლითონის კვარცხლბეკი, რომელიდანაც მრავალფერი სინათლე გამოსხივდის. კვარცხლბეკზე დები ჟირნოვები არიან. მათ მიერ წარმოდგენილ ვარჯიშებს შესრულების მაღალი ოსტატობა ახასიათებს.

არენაზე ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევთ ოთხ შავ ცხენს, რომელთა მწვრთნელია რუსო. ისინი ორკესტრის აკომპანემენტზე რიტმულად მოძრაობენ, მწვრთნელის მათრახის მოძრაობაზე წინა ფეხებზე იჩოქებენ, წვებიან, ყალზე დგებიან და ისე დარბიან არენაზე. რუსოს გაწვრთნილი ცხენების ყველა ნომერს მაყურებელი აღტაცებით ხვდება.

კარგი იყო გამოსვლა მხტუნავების ჯგუფისა ევგენი სამოლიოტოვის ხელმძღვანელობით. თვითეული მხტუნავი ჰაერში აკეთებს 3 ან 4 მოძრაობას. სიზუსტე და თვალის სისწრაფე სჭირდება მათ მიერ შესრულებულ ყოველ მოძრაობას.

უსოვის ეკვილიბრი სახვევ კოჭებზე მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე ეკვილიბრი, შესრულებული მსახიობ ბისენკოს მიერ, თითქმის მსგავსია უსოვის ნომრისა. ცირკის ადმინისტრაციამ ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს, მსგავსი ნომრების შესრულება მოსაბეზრებელს ხდის სანახაობას.

შესანიშნავია ხუმარა ხალიჩაზე — ედუარდ სერედა. იგი არა მარტო ჩვენში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი. მისი ყოველი ნომერი მაყურებელთა მხიარულ სიცილს იწვევს.

მალე თბილისელი მაყურებელი ნახავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ცირკის მსახიობების გამოსვლებს.

ბ. ბახტურიძე.

* * *

სურათებზე: ოსი ცხენოსნების ჯირითი (მარცხნივ); დები ჟირნოვების მხატვრული აკრობატული ვარჯიში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გრიგოედოვის სახელოგის თეატრში

ამ დღეებში გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ნ. ლესკოვის დრამა „მფლანგველი“.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ე. სატინა, დ. სლავინი და ა. ზაგორსკი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. ბურმისტროვა, ი. რუსინოვი, ა. ლემერგარღტი, ი. ზლობინი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ა. ერმოლოვი და ი. ბროსევიჩი, მსახიობები ვ. სიომინა, რ. ნიგაი, ი. ლიუბარსკი და სხვები.

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა ე. ბრილმა და მხატვარმა ე. დონცოვამ.

ზრადიციული ასპარეზობა

ბაქო. (11 ოქტომბერი. — ტელეფონით, სპეც. კორ.). ამერიკიდან, სსრ დელეგაციაც ბაქოს ემზადება დიდი და ტრადიციული ასპარეზობისათვის — ამერიკავკასიის მთიანი რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის, აგრეთვე მოლდავეთის სსრ სპარტაკიადისათვის. როგორც ყოველთვის, ეს შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს.

ისევე როგორც სხვა სპარტაკიადები, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ სპარტაკიადა წარმოადგენს ამ რესპუბლიკების სპორტსმენთა და ხალხთა მტკიცე მეგობრობის მკაფიო გამოხატულებას და სპორტული გამოცდილების გაზიარების ფართო ტრიბუნას.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში სამი დღეა განუწყვეტლივ წვიმს, ქრის სუსხიანი ქარი და ცივა, ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და მომავალ შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენებს სპარტაკიადისათვის მზადება არ შეუნელებიათ. სრულ წესრიგზე მოჰყავთ სტადიონები, მოედნები, დარბაზები. მიმდინარეობს სისტემატური წვრთნა.

შეჯიბრებაში გამოვლენ სხვა მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო წარმომადგენლებიც, რომლებიც სპორტის ზოგიერთ სახეობაში მონაწილეობას მიიღებენ კონკურსგარეშე და მაყურებლებს უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას. ასპარეზობისათვის ემზადებიან აგრეთვე მსაჯები, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, კუიბიშევიდან და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან.

სპარტაკიადაში მონაწილე სპორტსმენებს სერიოზული მოთხოვნილებები აქვთ წაყენებული. მათი მაჩვენებლები პირველ თანრიგზე დაბალი არ უნდა იყოს. წინაღმდეგ შემთხვევაში ეს მაჩვენებლები გუნდურ ჩათვლაში არ შეავ. თუ ვიმსჯელებთ დღეისათვის დაკომპლექტებული გუნდების მიხედვით, აზერბაიჯანელებს სპორტსმენთა ძლიერი კოლექტივები ჰყავთ წყალბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში. სომხეთის გუნდებიდან გამოირჩევიან ტანმოვარჯიშეები, ველოსრბოლები, ხუთჭიდოსნები. ძლიერი კოლექტივები ჰყავს საქართველოს დელეგაციასაც.

დღეს ბაქოში ჩამოვიდა საქართველოს სპორტსმენთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, მსროლელები, ძალოსნები, მოჭიდაველები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს და თაიგულები უძღვნეს.

მზადების დღეები მიიწურა. მალე ბაქოს ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ აღმართავენ სპარტაკიადის ალამს. ეჭვს გარეშეა, ეს შეჯიბრება იქნება საბჭოთა სპორტსმენების ახალ მიღწევათა დემონსტრაცია.

საერთაშორისო შეხვედრა

10 ოქტომბერს მარსელში (საფრანგეთი) გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდი „ოლიმპიკ დე მარსელი“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. სპორტულად საინტერესო შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 7 : 1.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

გრძელდება შეხვედრები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მორიგი მატჩები გაიმართა ლენინგრადსა და მოსკოვში. ლენინგრადში ადგილობრივი „ზენიტისა“ და მინსკის „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდმა ანგარიშით 3 : 0 დაამარცხა სტალინოს „შახტიორი“.

„ბ“ კლასი

10 ოქტომბერს აშხაბადში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლხოზჩისა“ და თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ორლეანელი ქალწული, **რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდა მასწავლებელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — გაბაფხულის ნიაღვარი, **გრიბოედოვის სახელობის** — ფფლანგველი, **მუსიკალური კომედიის** — დინარა, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ალექსანდრე პუშკინი (6 ს.), **თოჯინების ქართული** — კონკია (2 ს.), **ფილარმონია** — მოსკოვის ტრანსპორტის ცენტრალური თეატრის გასტროლები (საზაფხულო თეატრი, 8 ს. და 30 წ.)

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ამირანი (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — სამოთხის ჩიტები, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბადი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კიროვის პარკი** — კოორდინატები უცნობია, **ისანი** (საზამთრო), **კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — ყველაზე ძვირფასი, **ისანი** (საზაფხულო), **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — დონ სეზარ დე ბაზანი, **სპარტაკი** — განუმეორებელი გაზაფხული, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, დიდუბე** (საზამთრო) — ვირთაგვები, **კოლხიდა** (საზამთრო), **კოლმეურნე, დიდუბე** (საზაფხულო) — მფრინავ მარეშის საქმე, **კოლხიდა** (საზაფხულო) გაზაფხულზე, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — მწყურია, **ყაზბეგი** — ქალის სიყვარული, **ორჯონიკიძის პარკი** — ის თუ არა, ეს, **ვაკის პარკი** — ქეთო და კოტე.

ტელეგადაცემათა პროგრამა
12 ოქტომბრისათვის

19.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 17. 19.35 — გადაცემა საშუალო ასაკის ბავშვებისათვის — სატელევიზიო დადგმა — „ჭრელი გველი“ 20.00 — კინოჟურნალი. 20.10 — გადაცემა „მღერიან დრამატული თეატრის მსახიობები“ 20.35 — მხატვრული ფილმი „რემბრანდტის ცხოვრება“.

(16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა არ არის მიზანშეწონილი).

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმს ესაჭიროება

ქართულ-რუსული ენის მცოდნე გამოცდილი მეშანქანეები (თვიური ხელფასი 600 მანეთი).

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 70, ტელეფონი №№ 3-21-43, 3-27-17.

შვილები ეკატერინე, თინა, სოსო, გიგა თურქიები, და აღათი დადიანი, სიძეები აპოლონ ბერიძე, ევტიხი გობრონიძე ოჯახით იუწყებიან

ბაბი ყარამანის ასულ დადიანი-თურქიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-X ქ. ოჩამჩირეში, გამოსვენება ვოროშილოვის ქ. № 1.

მეუღლე სევასტი, შვილები მარგალიტა, ელგუჯა, რუსუდან, ძმა მინა, დები სარა, ანეტა, სიძეები დ. გაგნიძე, ვ. ჩაბაშვილი, რძალი გულიკო ოჯახებით იუწყებიან

არჩილ გრიგოლის-ძე გრძელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X სოფელ ქვემო ბარში (ონის რ.).

მოქალაქე **ელენე გიორგის ასულმა მარგალიტაძე-ქართველიშვილმა**, მცხოვრებმა პლეხანოვის პრსპ. № 82, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ბესარიონ ლევანის-ძე ქართველიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ოთარ რაჟდენის-ძე გაბრიჩიძემ**, მცხოვრებმა ხილიანის ქ. № 57, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ეკატერინე ივლიანეს ასულ ბარბაქაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო ს